თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*



# სარჩელი
## ადმინისტრაციულ საქმეზე

### მოსარჩელე:

| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) |
|---|---|---|
| ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" | 204952767 | თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართ. ბინა13 |

| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |
|---|---|
| თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№62. ბინა 62. | |

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| -------- | 29 27 73 | | 22 38 74 | greenalt@greenalt.org |

### მოსარჩელის წარმომადგენელი:

| სახელი, გვარი, ადვოკატის საითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |
|---|---|---|
| ნინო გუჯარაიძე | 01015010047 | თბილისი, ბაქრაძის 19 |

| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |
|---|---|
| --------- | ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართ. ბინა13 |

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| | 29 27 73 | 899 90 25 20 | 22 38 74 | ngujaraidze@greenalt.org |

### მოპასუხე:

| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) |
|---|---|---|
| ქ.თბილისის მთავრობა | | თბილისი. შარტავას ქ. №7 |

| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |
|---|---|
| ------ | -------------- |

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| ------- | 378591 | --------- | ------ | |

### საკონტაქტო პირი:

| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|
| | | | |

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

1

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

## დავის საგანი

ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

## დავის არსის მოკლე მიმოხილვა

2010 წლის 26 აგვისტოს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" განცხადებით მიმართა ქ.თბილისის მთავრობას და მოითხოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის 2008 წლის 14 მაისისს დადებული იქნა წილის (შპს „რუსთავწყალკანალის 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის) ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადმოცემა.

ქ.თბილისის მთავრობის 2010 წლის 09 სექტემბრის №11/107635-7 წერილით ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს განემარტა, რომ 2010 წლის 26 აგვისტოს №04/03-214 განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლების შესაბამისად გადაეგზავნა ქ.თბილისის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტოს". სსიპ "ქონების მართვის სააგენტოს" მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გადაუცია ასოციაცია "მწვანე ალტერნატივასათვის".

იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულების კონტრაჰენტს წარმოადგენს სწორედ ქ.თბილისის მთავრობა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ქ.თბილისის მერიის 2010 წლის 09 სექტემბრის №11/107635-7 წერილი (რომელიც დაინტერესებულ პირს ჩაბარდა 2010 წლის 14 სექტემბერს) სზაკ-ის მე-80 მუხლის არასწორად გამოყენებით განცხადების სსიპ "ქონების მართვის სააგენტოსათვის" გადაგზავნის შესახებ ფაქტიურად წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს უარს განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე, ვინაიდან განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქ.თბილისის მთავრობა და არა სსიპ "ქონების მართვის სააგენტო". ქ.თბილისის მთავრობას არ გააჩნია ზემდგომი ორგანო აქედან გამომდინარე, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში დარღვეული უფლების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ადმინისტრაციულ სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრა.

# დავის ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება
2010 წლის 26 აგვისტოს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" განცხადებით მიმართა ქ.თბილისის მთავრობას და მოითხოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, მე-40 მუხლების შესაბამისად საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს „მალტიპლექს ენერჯი ლიმითედს" შორის 2008 წლის 14 მაისს დადებული იქნა წილის (შპს „რუსთავწყალკანალის 100% წილის, შპს „მცხეთაწყალკანალის 100% წილის, შპს „საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს „თბილისის წყალის" 100% წილის) ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადმოცემა. კერძოდ:

- შესრულებულია თუ არა „მყიდველის" მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების 11.6.4. მუხლით განსაზღვრული ვალდებულება 6 თვეში ერთხელ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ანგარიშის „გამყიდველი-2"-სათვის წარდგენის თაობაზე;

- მყიდველის მიერ „გამყიდველი-2"-სათვის წარდგენილი კონკრეტული ანგარიშების ასლები;
- რა თარიღიდან აიღო „მყიდველმა" საკუთარ თავზე „კომპანიის" მართვა;

- ხელშეკრულების 2.4 მუხლით გათვალისწინებული „პარტნიორის კრების" ოქმის ასლი;

მტკიცებულება:
დანართი №1. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2010 წლის 26 აგვისტოს განცხადება საჯარო ინფორმაციის გადმოცემის შესახებ.

2. ფაქტობრივი გარემოება
განცხადებით მოთხოვნილი იქნა შემდეგი საჯარო ინფორმაცია:
- იმ „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების" ამსახველი დოკუმენტი, რომელთა „პირობების შესაბამისად", მყიდველმა უნდა მართოს და შეინარჩუნოს აქტივები; ვის მიერ და როდის არის დამუშავებული და დამტკიცებული აღნიშნული მეთოდები (კონკრეტული ორგანო, კონკრეტული სამართლებრივი აქტი);
- უზრუნველყოფილია თუ არა „მყიდველის" მიერ „კომპანიის" აქტივების მართვა და შენარჩუნება „საუკეთესო საინჟინრო და საოპერაციო მეთოდების" პირობების შესაბამისად; კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული;
- შეიცავს თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება მყიდველის ვალდებულებებს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით? თუ შეიცავს, გთხოვთ, მიგვითითოთ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის კონკრეტული ვალდებულებები ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში;
- შეესაბამება თუ არა წყლის ხარისხი ქ.თბილისში „ჯანმოს" ტექნიკურ რეგლამენტს; გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სრულდება თუ არა მდ. მტკვარში კანალიზაციის ჩადინების აღმოფხვრასთან დაკავშირებით „მყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკსირი ვალდებულებები; კონკრეტულად რაში გამოიხატება აღნიშნული;
- რა ოდენობის ინვესტიციაა განხორციელებული „მყიდველის" მიერ დღეის მდგომარეობით;

მტკიცებულება:

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2010 წლის 26 აგვისტოს განცხადება საჯარო ინფორმაციის გადმოცემის შესახებ.

3. ფაქტობრივი გარემოება
განცხადებით მოთხოვნილი იქნა შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულება;
- საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 14 მაისის №323 განკარგულება;

- საქართველოს მთავრობის 2008 წლის 14 მაისის №325 განკარგულება;
- ქობილისის მერის 2008 წლის 13 მაისის №310 განკარგულება;

მტკიცებულება:
ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" 2010 წლის 26 აგვისტოს განცხადება საჯარო ინფორმაციის გადმოცემის შესახებ.

4. ფაქტობრივი გარემოება

ქობილისის მთავრობის 2010 წლის 09 სექტემბრის №11/107635-7 წერილით ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"-ს განემარტა, რომ 2010 წლის 26 აგვისტოს №04/03-214 განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლების შესაბამისად გადაეგზავნა ქობილისის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტოს". სსიპ "ქონების მართვის სააგენტოს" მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ გადაუცია ასოციაცია "მწვანე ალტერნატივასათვის". ქობილისის მთავრობის 2010 წლის 09 სექტემბრის №11/107635-7 წერილი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს უარს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე.

მტკიცებულება:
ქობილისის მთავრობის 2010 წლის 09 სექტემბრის №11/107635-7 წერილი.

5. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

6. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

7. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:

# სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

1. სასარჩელო მოთხოვნა

დაევალოს ქ.თბილისის მთავრობას 2010 წლის 26 აგვისტოს განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის - გადმოცემა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივასათვის".

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, 37-ე, მე-40 მუხლები; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე, 33-ე პრიმა მუხლები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას.

სზაკ-ის მესამე მუხლი ადგენს ამავე კოდექსის გავრცელების სფეროს სახელმწიფო ორგანოებზე. აღნიშნული მუხლის ნაწილები აკონკრეტებენ იმ ადმინისტრაციულ ორგანოთა და მათ საქმიანობათა ჩამონათვალს, რომლებზეც ვრცელდება ამა თუ იმ შეზღუდვით ან არ ვრცელდება აღნიშნული კოდექსის ნორმები. სზაკ-ის 3.4 მუხლით იმპერატიულად არის განსაზღვრული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ის საქმიანობები, რომლებზედაც არ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება. მათ შორის აღნიშნული არ არის საქმიანობა ქთბილისის მთავრობის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, სარჩელი ქთბილისის მთავრობისათვის 2010 წლის 26 აგვისტოს განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემის დავალდებულების შესახებ ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებულია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

2. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

## მტკიცებითი შუამდგომლობები

| | |
|---|---|
| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

## სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

| | | | |
|---|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | ვის? | რომელი ენის მცოდნე? |
| **არა** | ☒ | | |

**სარჩელის ფასი** — არაქონებრივი ლარი

**სახელმწიფო ბაჟი** — 100 (ასი) ლარი

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☐ არა ☒

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☒

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☒

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☒

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | მტკიცებულება: |
| **არა** | ☒ | რადგან ქ.თბილისის მთავრობის ზემდგომი ორგანო არ არსებობს, მაშასადამე მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენა შეუძლებელია. |

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☒ | მორიგების პირობები: განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის პირობით. |
| **არა** | ☐ | რადგან |

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | |
| **არა** | ☒ | რადგან დავა მოსარჩელისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. |

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

25 წუთზე მეტი რადგან დავა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება აშკარა კანონდარღვევით.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☒ | |
| **არა** | ☐ | რადგან |

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე — დროის ოპტიმალური შუალედი: 14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☒ | |
| **არა** | ☐ | რადგან |

## თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1. 2010 წლის 26 აგვისტოს განცხადება. -- 3 (სამი ) ფურცელი.

2. ქ.თბილისის მთავრობის 2010 წლის 09 სექტემბრის 11/107635-7 წერილი. 1 (ერთი) ფურცელი.

3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. 2 (ორი) ფურცელი.

4. წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი რწმუნებულება 1 (ერთი) ფურცელი;

5. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. 1 (ერთი) ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა — 8

# სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

| | | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| 1. | მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი. | ☒ | ☐ |
| 2. | მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება) და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი). | ☒ | ☐ |
| 3. | მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. | ☐ | ☒ |
| 4. | მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები. | ☒ | ☐ |
| 5. | მითითებულია დავის საგანი. | ☒ | ☐ |
| 6. | მითითებულია სარჩელის ფასი. | ☒ | ☐ |
| 7. | მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა. | ☒ | ☐ |
| 8. | მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა. | ☒ | ☐ |
| 9. | სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული. | ☒ | ☐ |
| 10. | სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე. | ☒ | ☐ |
| 11. | მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. | ☒ | ☐ |
| 12. | სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს). | ☒ | ☐ |
| 13. | სარჩელი ხელმოწერილია. | ☒ | ☐ |
| 14. | სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა. | ☒ | ☐ |

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

| სარჩელი ფორმალურად გამართულია: | სარჩელი ფორმალურად არაა გამართული: |
|---|---|
| ☐ | ☐ |

**ატვირთვის ბმული:** http://tbappeal.court.ge/sf http://tbappeal.court.ge/sf

**საიდენტიფიკაციო ნომერი:**

*ელ. ფოსტა:* 1st.instance@court.ge ☐

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| ხელმოწერა | ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" ალმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე. | 15/10/2010 წ. |
|---|---|---|
| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი და გვარი | შევსების თარიღი |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.